

პირდაქცეული ბმოს მკურნალი

ჩემს უხუცესს ძმასთან მოვიდა ერთი სნეული. ყოველთა აქიმათა

უკვირდა მისი სენი. ჩემთან ძმამან რქვა სხვათა:

- ამა კაცსა გვამსა შიგან პირდაქცეული ბმო აბია: თვით არ გამოირწყვის, შაშარი არ მისწვდების და წამალი არ დაედების, რა ვუყოთ?

მათ რგების ღონე ვერა თქვეს რა. მან ხუთი წურბელი მოასხმევინა და ჩაანთქა. კაცი იგი მკვდარს დაემსგავსა. თურე წურბელი ბმოს მოეკიდა და დახეთქა. რა იდროვა ჩემთან ძმამან ერთი წამალი ჩაასხა, წურბელებიც წამოაგდო და მრავალი სისხლი და ბაყლი ედინა.

და მორჩა.

თქვა მეშვიდემან